ისეტვინების ბრძოლა
რეგიონული პირველობა | შემოდგომა 2023
U5 (III, IV, V კლასები)

შენიშვნა წამყვანს: თამაშის დაწყების წინ მონაწილეებს მოუწოდეთ, რომ ტელეფონები გათიშონ ან ხმა გამოურთონ და ისე შეინახონ.

1. 5-ქულიანი შეკითხვა
თეატრში ყოფნისას სასურველია, **გააკეთოთ ეს**, რათა **მოულოდნელმა ხმაურმა** სპექტაკლის მსვლელობას **ხელი არ შეუშალოს**. თუმცა, **სარდაფებში** მდებარე თეატრებში, როგორც წესი, მაყურებელს **არ სთხოვენ ამის გაკეთებას**. შეკითხვის ავტორი **იმედოვნებს**, რომ თქვენ **ეს უკვე გააკეთეთ**. დაწერეთ **სიტყვები**, რომლებიც შევცვალეთ სიტყვებით "ამის გაკეთება".

პასუხი: მობილური ტელეფონის გამორთვა
ჩათვლა: ხმის გამორთვ ა; აზრობრივად სწორი პასუხები
კომენტარი: სპექტაკლის დაწყებამდე ტელეფონის გათიშვა ან ხმის გამორთვა აუცილებელია, რათა შემოსულმა ზარმა მსახიობებს ხელი არ შეუშალოს. თუმცა, თუო თეატრი სარდაფში მდებარეობს, ტელეფონის გამორთვა ხშირად საჭირო არც ხდება, რადგან სარდაფში ტელეფონები არ იჭერს. იმედი გვაქვს, თამაშის განმავლობაში ტელეფონის გამორთვის წესს გაითვალისწინებთ.

2. 6-ქულიანი შეკითხვა
გადმოცემის თანახმად, ერთხელ **დამარცხებულმა** მეფე უილიამმა ფრანგ პრინცს **თავზე გადაამტვრია** იქსი. 2020 წელს შექმნეს **რეკორდულად პატარა იქსი**, რომლის **სიგრძეც** და **სიგანეც რვა მილიმეტრია**. დაასახელეთ იქსი **ერთი** ან **ორი** სიტყვით.

პასუხი: ჭადრაკის დაფა
ჩათვლა: ჭადრაკი
კომენტარი: ჭადრაკის თამაშში დამარცხებით გაბრაზებულმა მეფე უილიამმა გამარჯვებულ ფრანგ პრინცს ჭადრაკის დაფა თავზე გადაამტვრია. 2020 წელს შექმნილ მინიატურულ ჭადრაკის დაფას სიგრძეც და სიგანეც რვა-რვა მილიმეტრი აქვს. მოგეხსენებათ, ჭადრაკის დაფაზე 64 უჯრაა, ამ მინიატურულ დაფაზე კი თითოეული უჯრა 1 კვადრატული მილიმეტრია.

3. 7-ქულიანი შეკითხვა
- ზოგიერთი **ხელოვნებათმცოდნე** მხატვარ **ანტონ ვან დაიკის** შემოქმედებაზე საუბრისას ვარაუდობს, რომ ვან დაიკი ძალიან **თავმომწონე პიროვნება** იყო. **მიზეზი ისაა**, რომ ვან დაიკი **უმეტესად პორტრეტებს ხატავდა**. წინა წინადადების ერთ-ერთ სიტყვაში ჩვენ **გამოვტოვეთ ოთხი ასო**. **აღადგინეთ** სიტყვა თავდაპირველი ფორმით.

პასუხი: ავტოპორტრეტებს
კომენტარი: საქმე ისაა, რომ ანტონ ვან დაიკის ნახატების უმრავლესობა არა პორტრეტები, არამედ - ავტოპორტრეტებია. ხელოვნებათმცოდნეები ვარაუდობენ, რომ მას საკუთარი თავი ძალიან მოსწონდა.

4. 5-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა



]
მასალაზე გამოსახულ დათვს, რომელსაც მკერდზე **ნარინჯისფერი** ლაქა აქვს, "**იქსის დათვს**" უწოდებენ. თუმცა, იგი **სახელს არ ამართლებს** და **ღამით იღვიძებს** ხოლმე. "**სალამურას თავგადასავლის**" პერსონაჟს, რომელიც **ციცინათელებს** უვლის, იქსი **ნანახი არ** აქვს. დაასახელეთ იქსი **მოკლე** სიტყვით.

პასუხი: მზე
კომენტარი: მასალაზე გამოსახული დათვის ნარინჯისფერი ლაქა მზეს მოგვაგონებს, რის გამოც ცხოველს "მზის დათვსაც" უწოდებენ. თუმცა, ეს დათვი ღამღამობით არის ხოლმე აქტიური და მზის სინათლე დიდად არ უყვარს. ნაწარმოებში "სალამურას თავგადასავალი" ბაიას მზე ნანახი არ აქვს.

5. 6-ქულიანი შეკითხვა
ერთ ფილმში ნაჩვენებია ორი განსხვავებული ტიპის კალათბურთელი. პირველი თავიდანვე **სწრაფად ვითარდებოდა**, თუმცა **ბევრჯერ ისვენებდა**, მეორე კი **ბეჯითი** იყო და **ნელი ნაბიჯებით შეუსვენებლად** მიდიოდა მიზნისკენ. ამ ორი კალათბურთელის **დაპირისპირებისას** ნახსენებია **ორი ცხოველი**. დაასახელეთ ორივე ცხოველი, თუ ერთი მეორეზე **ექვსი ასოთი გრძელია.**

პასუხი: კუ, კურდღელი
კომენტარი: ამ ორი სპორტსმენის დაპირისპირებისას ახსენეს ეზოპეს იგავი კუსა და კურდღლის შესახებ, სადაც კუ ნაბიჯ-ნაბიჯ შეუსვენებლად მიიწევდა წინ, კურდღელი კი სწრაფი იყო, თუმცა ბევრჯერ შეისვენა.

6. 7-ქულიანი შეკითხვა

ერთი ნაწარმოების პერსონაჟი **კავკასიონის მთებში ყორანს ებრძვის**. ნაწარმოების თანახმად, მთაში გამართულ ამ ორთაბრძოლას **მხოლოდ ირანი ხედავს**. წინა წინადადების ერთ-ერთ სიტყვაში ჩვენ **ორი ასო გამოვტოვეთ**. აღადგინეთ სიტყვა თავდაპირველი ფორმით.

პასუხი: ამირანი
კომენტარი: კავკასიონის მთებში ნაწარმოების პერსონაჟსა და სასტიკ ფრინველს შორის გამართულ ორთაბრძოლას მხოლოდ ის მითოლოგიური გმირი ხედავს, რომელიც კავკასიონის მთებსაა მიჯაჭვული.

7. 5-ქულიანი შეკითხვა
შენიშვნა წამყვანს: შეკითხვის დასმამდე ჰკითხეთ მონაწილეებს, იციან თუ არა, რა არის USB [იუ-ეს-ბი]. შემდეგ განუმარტეთ, რომ USB არის შესაერთებელი, რომელიც კომპიუტერულ მოწყობილობაში ინფორმაციის გადატანის საშუალებას გვაძლევს.

[დასარიგებელი მასალა

]
დარიგებულ მასალაზე გამოსახულია USB-ის **ლოგო**. ერთ მულტსერიალში **კალიფორნიის უდაბნოში** მდებარე **იქსებს** აქვთ USB-ის ლოგოს **ფორმა**. **გავრცელებული მოსაზრება**, რომ იქსი **კომპიუტერის გამოსხივებისგან იცავს**, **სიმართლეს არ შეესაბამება**. დაასახელეთ **მცენარე**, რომელიც შევცვალეთ იქსით.

პასუხი: კაქტუსი
კომენტარი: კალიფორნია ტექნოლოგიების ცენტრადაა ცნობილი. გასაკვირი არაა, რომ მულტსერიალში კალიფორნიის უდაბნოში მდებარე კაქტუსებს USB-ის ლოგოს ფორმა აქვთ. არსებობს მოსაზრება, რომ კაქტუსი კომპიუტერის გამოსხივებისგან იცავს ადამიანს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება.

8. 6-ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეულ მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოთამაშე, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს კაპიტანი.]
ჯვაროსნების შესახებ დაწერილ ერთ სტატიაში ნათქვამია, რომ **იქსი** გამოხატავს **იესო ქრისტეს** და **ოთხ სახარებას**. იქსის ნახვა **საქართველოს** ბევრ **სახელმწიფო დაწესებულებაში** არის შესაძლებელი. დაასახელეთ იქსი **ორი** სიტყვით.

პასუხი: ხუთჯვრიანი დროშა
კომენტარი: ცნობილია ჯვაროსნების რამდენიმე დროშა. ერთ-ერთ მათგანზე ხუთი ჯვარია

გამოსახული და, სტატიის თანახმად, ის აღნიშნავს იესო ქრისტეს და ოთხ სახარებას. ხუთჯვრიანი დროშა საქართველოს სახელმწიფო დროშაა და ბუნებრივია, რომ ბევრი სახელმწიფო დაწესებულების ტერიტორიაზეა აღმართული.

9. 7-ქულიანი შეკითხვა
ლეგენდის თანახმად, საუკუნეების წინ ერთი ბერძენი მმართველი **ხელქვეითებს ბრძანებას ჯოხის მოქნევით** აძლევდა ხოლმე, ამიტომ ისტორიკოსებმა მას **პირველი იქსი** შეარქვეს. **ჯანსუღ კახიძე** და **ნიკოლოზ რაჭველი** ცნობილი **ქართველი იქსები** არიან. დაასახელეთ **იქსი** ერთი **რვაასოიანი სიტყვით**.

პასუხი: დირიჟორი
კომენტარი: დაახლოებით 2800 წლის წინ მცხოვრები მმართველი, სახელად ფერეკიდე, ხელქვეითებს ბრძანებებს ჯოხის მოქნევით ისე აძლევდა, როგორც დირიჟორი უძღვება სიმფონიურ ორკესტრს. ისტორიკოსებმა მას პირველი დირიჟორი შეარქვეს. ჯანსუღ კახიძე და ნიკოლოზ რაჭველი ქართველი დირიჟორები არიან.

10. 5-ქულიანი შეკითხვა
ერთი ანიმაციური ფილმი დაფუძნებულია **უილიამ შექსპირის სასიყვარულო პიესაზე** და მოგვითხრობს **ორი გნომის** ამბავს. **მთავარ გმირს**, რომელსაც ძლიერ **უყვარს** მეორე **მთავარი გმირი,** ჰქვია **გნომეო**. დაწერეთ მეორე მთავარი გმირის **სახელი**.

პასუხი: ჯულიეტა
ჩათვლა: სახელი "ჯულიეტას" ნებისმიერი ფორმით შეერთება სიტყვა "გნომთან"
კომენტარი: ეს ანიმაციური ფილმი დაფუძნებულია უილიამ შექსპირის პიესაზე "რომეო და ჯულიეტა". ფილმის შემქმნელებმა რომეოზე დაფუძნებულ გნომს "გნომეო" შეარქვეს.

11. 6-ქულიანი შეკითხვა
ჰარმონია აქსირიდისი **მავნებელი მწერია**, რომელიც იკბინება და გამოყოფს უსიამოვნო სუნს. ფერმერებს **უჭირთ** ხოლმე ჰარმონია აქსირიდისის **ამოცნობა**, რადგან ის ზოგჯერ **ჩვეულებრივ იქსს წააგავს**. **არ გთხოვთ** იქსის დასახელებას. დაასახელეთ თქვენთვის ცნობილი **პერსონაჟი**, რომელიც **იქსებს უვლის**.

პასუხი: სალამურა
კომენტარი: ჰარმონია აქსირიდისი წინწკლებიანი მწერია და ხანდახან ჭიამაიას წააგავს, რის გამოც ზოგჯერ ფერმერებს მათი გარჩევა უჭირთ. სალამურა ჭიამაიების მწყემსია.

12. 7-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

]
დარიგებულ მასალაზე გამოსახულია **კიბორჩხალას ხაფანგი**. ერთი ვერსიით, ცნობილ **ანიმაციურ სერიალში** არსებული **რესტორანი** კიბორჩხალას ხაფანგს **განასახიერებს**. **ერთსა** და **იმავე ასოებზე** დაწყებული **ორი სიტყვით** დაწერეთ ამ რესტორნის სახელი.

პასუხი: კრასტი კრაბსი
კომენტარი: თუ მასალაზე გამოსახული ხაფანგის ფორმას დააკვირდებით, ანიმაციური სერიალის პოპულარულ რესტორანთან მსგავსებას შეამჩნევთ. ანიმაციურ სერიალ "სპანჯბობში" რესტორან "კრასტი კრაბსის" მფლობელი - მისტერ კრაბსი - კიბორჩხალაა. ირონიულია, რომ მის რესტორანს კიბორჩხალას ხაფანგის ფორმა აქვს.

13. 5-ქულიანი შეკითხვა
მოისმინეთ **6-ქულიანი** შეკითხვა. ერთი საბავშვო მოთხრობის გმირს, რომელსაც ძალიან უყვარს **ამის კეთება**, ხშირად **უმოკლდება ფეხები** და **უგრძელდება ცხვირი**. რა შევცვალეთ სიტყვებით "**ამის კეთება**"?

პასუხი: ტყუილების თქმა / მოტყუება
კომენტარი: ცნობილი ანდაზის თანახმად, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს; პინოქიოს კი ტყუილის თქმისას ცხვირი უგრძელდება. ალბათ, შეამჩნევდით, რომ შეკითხვის დასმისას ჩვენ თქვენი "მოტყუება" ვცადეთ, რამდენადაც ეს არა 6-ქულიანი, არამედ 5-ქულიანი შეკითხვა იყო.

14. 6-ქულიანი შეკითხვა
ერთი მხატვარი სპეციალურად **დღაბნიდა მინდვრების ნახატებს** და ამბობდა, რომ სურდა ისეთი **ეფექტის** შექმნა, თითქოს მაყურებელი **იქსით გადაადგილდება მინდორში**. თბილისში **იქსის ძეგლის** ნახვა **რუსთაველის მეტროს მახლობლად** არის შესაძლებელი. დაასახელეთ იქსი **ერთი** სიტყვით.

პასუხი: ველოსიპედი
კომენტარი: მხატვარმა შექმნა გადღაბნილი მინდვრის ნახატების სერია, რომელიც მაყურებელს შთაბეჭდილებას უტოვებს, თითქოს ველოსიპედი სწრაფი სიჩქარით მიჰყავს მინდორში. ველოსიპედის ძეგლი თბილისში, რუსთაველის მეტროდან არც ისე შორს მდებარეობს.

15. 7-ქულიანი შეკითხვა

[დასარიგებელი მასალა

]

დარიგებულ მასალაზე გამოსახული ოსკარის ქანდაკებები **უოლტ დისნეის 1937 წლის ანიმაციურ ფილმს** გადაეცა. **შვიდი ქულის მოსაპოვებლად** დაასახელეთ ეს ანიმაციური ფილმი.

პასუხი: ფიფქია და შვიდი ჯუჯა

კომენტარი: სიმბოლურია, რომ ამ ანიმაციური ფილმისთვის დისნეის ერთი სტანდარტული ზომის და შვიდი მინიატურული ქანდაკება გადასცეს. სიტყვები "შვიდი ქულის მოსაპოვებლად" დამატებით მინიშნებას წარმოადგენდა ამ უკიდურესად ცნობილ ანიმაციურ ფილმზე.